საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-15/1939
08/02/2022

1939-2-15-2-202202081737

მოქალაქე ირინოლა ტლაშაძეს
მის: ანა პოლიტკოვსკაიას №8ა
ელექტრონული მისამართი: <@
ტელ: +995 593 762 818

ქალბატონო ირინოლა,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) 2022 წლის 8 თებერვალს შემოვიდა თქვენი 2022 წლის 6 თებერვლის განცხადება (დეპარტამენტში რეგისტრაციის №3278/2), რომლითაც ითხოვთ 2021 წლის სტატისტიკას თბილისში საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის შესახებ უბნების და რეკონსტრუქციისთვის დათმობილი დროის მიხედვით.

დეპარტამენტმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი განცხადება და გაცნობებთ, რომ „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში-კანონი) მე-7 მუხლის მიხედვით, საერთო სარგებლობის გზებს მართავს ამ გზების მესაკუთრე, რომელიც ახორციელებს გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, შეკეთების, მოვლა-შენახვის სამუშაოებს. ხოლო კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტს ევალება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაპროექტება, მშენებლობა, მოდერნიზება, რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით გზების კეთილმოწყობა და სრულქმნა. ამასთან, დანართის სახით გიგზავნით, „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით დამტკიცებულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას (შემდომში-ნუსხა), რომლებსაც მართავს დეპარტამენტი.

თქვენი განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, რომლებიც არ შედის ნუსხაში და არ ირიცხება დეპარტამენტის ბალანსზე. შესაბამისად, დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

დანართი: დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

ფიქრია კვერნაძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამსახური